შ.პ.ს. „ პროექტი ”

ქ. თბილისში, ალექსიძის ქ. №1, ნაკვეთი 038/011-ში

არსებული შენობის დემონტაჟი

დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი

თბილისი 2014 წ.

განმარტებითი ბარათი

1. დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტის დამუშავებას საფუძვლად დაედო:
   - მშენებლობის რაიონის სიტუაციური გეგმა;
   - არსებული შნობის აზომვითი ნახაზები;
2. პროექტი შესრულებულია მოქმედი სამშენებლო ნორმების, წესებისა და სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისად.

3. წინამდებარე პროექტი ითვალისწინებს ქ. თბილისში, ალექსიძის ქ.№1-ში არსებული ერთსართულიანი შენობის დემონტაჟს.
   სადემონტაჟო შენობა წარმოადგენს აგურის ერთსართულიან ნაგებობას ზომებით 13,9X 41,0 X7,5მ.
4. სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე აუცილებელია მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება, რომელიც გულისხმობს არსებული საინჟინრო ქსელების, კომუნიკაციებისა და კაბელების ჩახსნას საქალაქო ქსელებიდან სპეციალიზირებული ორგანიზაციის მეთვალყურეობის ქვეშ.
   შენობების დემონტაჟი უნდა განხორციელდეს შემდეგი თანმიმდევრობით:
   ა. სახურავიდან მოიხსნას არსებული აზბოცემენტის შიფერის საფარი;
   ბ. მოიხსნას არსებული შეკიდული ჭერი;
   გ. გაიხსნას ლითონის ფერმის კედლებთან დამაკავშირებელი ყველა კვანძი, ეტაპობრივად ჩაიშალოს ფერმის ლითონის კავშირები და თანდათანობით განხორციელდეს ფერმის დემონტაჟი;
   გ. მოიხსნას არსებული ლითონის კარები;
   დ. მოეწყოს ხარაჩოები და დაიშალოს არსებული აგურის კედლები;
   ე. საძირკვლების დემონტაჟი;
   3. სამშენებლო ნაგავი გაზიდულ იქნას ტერიტორიიდან;

   პირველ ეტაპზე უნდა მოხდეს შენობის იმ ნაწილის დემონტაჟი რომელიც განთავსებულია 7-8 ღერძებში, რათა შემდგომ ამწის დახმარებით განხორციელდეს გადახურვის ლითონის ფერმის დემონტაჟი.
   სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელებისათვის პროექტით რეკომენდირებულია საავტომობილო ამწე, ბულდოზერი და ხელის პნევმატური სანგრევი ჩაქუჩები.
5. იმის გამო რომ, დემონტაჟის სამუშაოების ხანგრძლივობა სამშენებლო ნორმებით გათვალისწინებული არ არის, სადემონტაჟო სამუშაოების ხანგრძლივობას ვადგენთ ანალოგიური ხასიათის სამუშაოების გამოცდილების გათვალისწინებით 3 თვეს.

<u>უსაფრთხოების ტექნიკა</u>

კატეგორიულად აიკრძალოს სახურავის და ფერმის დემონტაჟის დროს შენობის შიგნით ყველანაირი სამუშაოს ჩატარება

- უცხო პირთა, აგრეთვე სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ მუშა-მოსამსახურეთა ყოფნა სამშენებლო მოედანზე დაუშვებელია.
- სადემონტაჟო სამუშაოების ჩატარებისას მუშები უნდა იყენებდნენ სპეცტანსაცმელს, რესპირატორებსა და თავსაბურავებს;
- მუშა-მომსახურე პერსონალს უნდა ჩაუტარდეს ინსტრუქტაჟი მშენებლობაზე უსაფრთხოების ტექნიკის უზრუნველყოფის საკითხებზე.

- მომუშავეთა შრომის უსაფრთხოების ღონისძიებები უნდა იყოს დაცული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების ყველა ეტაპზე თანახმად 28.03. 2007წ. №62 დადგენილების და სხვა ნორმატიულ-საკანონმდებლო დოკუმენტების მითითებების შესაბამისობით.

ეკოლოგია და ბუნების დაცვის საკითხი

- სადემონტაჟო სამუშაოების დაწყება დაიშვება შესაბამისი სამსახურის მიერ გაცემული ნებართვის შემდეგ. მშენებლობა აუცილებელია განხორციელდეს ბუნების დაცვითი და ჰაერის გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვით.
- გარემოს დაცვის სამსახურის ნებართვის გარეშე მშენებლობის სიახლოვეს იკრძალება მრავალწლიანი ხეებისა და ნარგავების მოჭრა ან განადგურება.
- დაუშვებელია არსებულ საკანალიზაციო ჭების დანაგვიანება სამშენებლო ნარჩენებით.
- გატარდეს ღონისძიებები ხანძრის საშიშროების თავიდან ასაცილებლად ამჟამად მოქმედი სანიტარული ნორმების მიხედვით, ასევე გატარდეს ღონისძიებები, რათა ხმაურის დონე სამუშაოთა მიმდინარეობისას არ აღემატებობეს 55 დბ-ს.
- გათვალისწინებული იქნას აგრეთვე სამშენებლო ნარჩენების მინიმალიზაცია, პოლიმერული ნარჩენების გატანა ტერიტორიიდან მოხდეს შესაბამისი ნორმების დაცვით.
- სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში წარმოქმნილი მტვრის შემცირების მიზნით მშრალ ამინდში ტერიტორია მოირწყას, სამშენებლო ნაგვის გატანა მოხდეს დახურული ავტოტრანსპორტით.

სამშენებლო გენგეგმა



ექსპლიკაცია

1. სადემონტაჟო შენობა;
2. საავტომობილო ამწე;
3. დროებითი ღობე;
4. დროებითი ჯიხური;

პირობითი აღნიშვნები

– სადემონტაჟო შენობა;

– დროებითი ღობე;

შ.პ.ს. "პროექტი"	ქ. თბილისი, ალექსიძის ქ.№1, ნაკვეთი 038/011, არსებული შენობის დემონტაჟის პროექტი			2014 წ.		
დირექტორი	[signature]	ქ. კალანდაძე	დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი	სტადია	ფურც.	რაოდ.
პრ. ავტორები	[signature]	პ. ქურდიანი				
შეასრულა	[signature]	ნ. ნონიაშვილი	სამშენებლო გენგეგმა	მ.პ.	№-1	3

ჭრილი 1-1



საავტომობილო ამწე KC - 4571
ტექნიკური დახასიათება

1. ტელესკოპური ისრის სიგრძე ——— 9,75 - 21,75მ.
2. ტვირთამწეობა ——————— 16 ტ.
3. სვლის სიმაღლე : მინიმალურ შვერაზე — 22მ.
მაქსიმალურ შვერაზე —1,5მ.
4. გაბარიტული ზომები ——————— 3,29მ. სიმაღლე - 3,98მ.

შენიშვნა: ნახაზზე ნაჩვენებია საავტომობილო ამწის დგომა ფერმის დემონტაჟისას, მას შემდეგ, რაც დაშლილი იქნება შენობის 7-8 ღერძებში განთავსებული ნაწილი;

შპს "პროექტი"	ძ. თბილისი, ალექსიძის ქ.№1, ნაკვეთი 038/011, არსებული შენობის დემონტაჟის პროექტი			2014 წ.		
დირექტორი		ძ. ქალანდაძე	დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი	სტადია	ფურც.	რაოდ.
არ. არქიტექტორი		პ. ქუთელიანი				
შესასრულა		ნ. ნონიაშვილი	ჭრილი 1-1	მ.პ.	№-2	3

სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების გრაფიკი

| სამუშაოთა დასახელება | სამუშაოთა ხანგრძლივობა | | |



შ.პ.ს. "პროექტი"			ქ.თბილისი. ალექსიძის ქ. N'1-ში შენობის დემონტაჟის პროექტი	თბილისი 2014			
დირექტორი		ქ.კალანდაძე		მასშ.	სტად.	ფურც.	ფ.სულ
პრ.ავტორი		პ.ქურდიანი	არსებული შენობის ანაზომი				
შეასრულა		ქ.ქურდიანი	გეგმა/ გენგეგმა	1:100		1	3

ფასადი 8/1



ფასადი C/A



ფასადი 1/8



შ.პ.ს. "პროექტი"			ქ.თბილისი. ალექსიძის ქ. N'1-ში შენობის დემონტაჟის პროექტი	თბილისი 2014		
დირექტორი		ქ.კალანდაძე		მასშ.	სტად.	ფურც.	ფ.სულ
პრ.ავტორი		პ.ქურდიანი	არსებული შენობის ანაზომი				
შეასრულა		ქ.ქურდიანი	ფასადი 8-1. ფასადი 1-8. ფასადი C-A	1:100		2	3

ჭრილი 1/1



ჭრილი 2/2



შ.პ.ს. "პროექტი"			ქ.თბილისი. ალექსიძის ქ. N'1-ში შენობის დემონტაჟის პროექტი	თბილისი 2014			
დირექტორი		ქ.კალანდაძე		მასშ.	სტად.	ფურც.	ფ.სულ
პრ.ავტორი		პ.ქურდიანი	არსებული შენობის ანაზომი				
შეასრულა		ქ.ქურდიანი	ჭრილი 1/1. ჭრილი 2/2.	1:100		3	3